მიზანი მიღწეულია

თბილისი. ვ.ი. ლენინის “დინამოს” სტადიონი. 18 მარტი.

“დინამო” (თბილისი, სსრკ) – “ვესტ ჰემ იუნაიტედი” (ლონდონი, ინგლისი) 0:1 (0:0.

“დინამო”: გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, ჭილაია (მუჯირი), სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

“ვესტ ჰემი”: ფარქსი, სტიუარტი, ლამპარდი, ბონდსი, მარტინი, ბრაში, ნეიბერი, გოდარდი (პირსონი), ქროსი, ბრუკინგი, ფაიქი.

მსაჯი: ე. ეშვაილერი (გფრ).

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალის განმეორებითი მატჩის წინ თბილისის ”დინამოსა” და ლონდონის “ვესტ ჰემ იუნაიტედის” სიტუაცია თითქოს ნათელი და გარკვეული იყო ყველასთვის: ლონდონში დიდი ანგარიშით მოგებული თამაშის შემდეგ (4:1) თბილისელებს არ უნდა გასჭირვებოდათ გასვლა გათამაშების შემდგომ ეტაპზე – ნახევარფინალში. ჩვენს გუნდს უღრუბლო ცას ჰპირდებოდა ნებისმიერი ფრე, თუნდაც წაგება ერთი და ორ ბურთიანი სხვაობით. ვარიანტები ბევრი იყო.

შეიძლება ზოგიერთებს გუშინდელი თამაში დინამოელთა საამო გასეირნებად მიაჩნდათ, როცა ლონდონში ნათამაშები მატჩის ძალთა შეფარდებას იხსენებდნენ, მაგრამ საღი აზრი. “ვესტ ჰემის” დიდი ავტორიტეტი გვკარნახობდა, რომ არც ერთი წუთით არ შეიძლებოდა ყურადღების მოდუნება. უნდა ითქვას, პასუხისმგებლობის მობილიზება, უპირველეს ყოვლისა, იგრძნობოდა თვით თბილისელ ფეხბურთელებს შორის, რომლებმაც პირველი მატჩის განდიკაპი დავიწყებას მისცეს და შეუპოვარი ბრძოლის სურვილით გამოვიდნენ მინდორზე. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო: ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ტურნირი ძალზე სერიოზული შეჯიბრებაა, სახუმაროდ აქ არავის სცალია.

თამაში დაიწყო სტუმრების ერთგვარი უპირატესობით, უფრო სწორად, კონტროლი ბურთზე უმეტესად მათი იყო. “ვეს ჰემი” შეწყობილ. შეთამაშებულ კოლექტივად ჩანდა, მისი ყოველი მოთამაშე აქტიურობდა, მაგრამ განვლო ხუთმა წუთმა, ათმა, თხუთმეტმა, ბურთი კი უმეტესად მინდვრის შუაგულში ტრიალებდა და დინამოელებს არავითარ ხიფათს არ უქმნიდა. ქროსის, ბრუკინგის, ფაიქის ენერგიული ფრონტალური გადანაცვლებების მიუხედავად თბილისელთა დაცვაში ყველაფერი რიგზე იყო.

მატჩის ასეთი მსვლელობა, რა თქმა უნდა, ხელს აძლევდათ მასპინძლებს. პოზიციური ბრძოლა მათი ამოცანის გარკვეულ ნაწილს შეადგენდა. ამიტომ ისინი არც უშლიდნენ ხელს “ვესტ ჰემის” მოთამაშეებს მინდვრის ერთი ფლანგიდან მეორემდე ეწარმოებინათ კომბინაციები, მაგრამ როგორც კი ინგლისელები კარისკენ დააპირებდნენ გასვლას, “დინამოს” მცველები მაშინვე მჭიდროდ იყვანდნენ მათ, ორ–სამჯერაც მაღალი ბურთის ასაღებად გაბელიას წინ გამოსვლა მოუხდა.

ტაიმის დასასრულს, დაახლოებით 35 მეტრიდან მეკარე ფარქსი “მოსინჯა” სულაქველიძემ, მცირე ხანში იგივე გაიმეორა ყიფიანმა, მერე სვანაძე საკმაოდ დაურიდებლად წააქციეს საჯარიმო მოედანზე სტუმრების მცველებმა…

ტაიმი, მცირე გამონაკლისის გარდა, მშვიდობიანი გამოდგა.

მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა თამაში მეორე ტაიმში და პირველნი, ვინც ამას ტონი მისცა, დინამოელები იყვნენ. მათ შუა მინდვრიდან წინ გადაინაცვლეს, საგრძნობლად გააქტიურდნენ შენგელია, გუცაევი, ყიფიანი, ფორვარდებს ენერგიულად ეხმარებოდა სულაქველიძე, სწრაფი და მოულოდნელი რეიდები წამოიწყო ჩივაძემ და თბილისელთა ახალი წარმატების მოლოდინში ახმაურდნენ ტრიბუნებიც.

59–ე წუთზე ყიფიანი კარგად გავიდა გარღვევაზე, მეკარეც გამოიტყუა. მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა. მერე ჩივაძემ შეარჩია მომენტი, ფარქსთან პირისპირ აღმოჩნდა და ინგლისელები იღბლად გადაურჩნენ ნაღდ გოლს, მალე სულაქველიძისა და გუცაევის უძლიერესი დარტყმები ოდნავ აცდა მიზანს.

მატჩი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, სათამაშო დრო სულ ნაკლები რჩებოდა და პრაქტიკულად ნათელი გახდა, რომ მეოთხედფინალური ეტაპის 2–მატჩიანმა სერიამ უპირატესობა მოუტანა თბილისის "დინამოს", რომელიც თავისი არსებობის ისტორიაში პირველად გავიდა ევროპული საკლუბო ტურნირის ნახევარფინალში, ხოლო "ვესტ ჰემს" ნუგეშად ინგლისის ლიგის თასის განმეორებითი ფინალური მატჩიღა დარჩა "ლივერპულთან". მაგრამ უსიამოვნება, რომელსაც ჩვენთვის თუმცა არსებითი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, მაინც მოხდა: 87–ე წუთზე სტუმრებმა შეძლეს პრესტიჟის გოლის გატანა. პირსონი წამით დარჩა უმეთვალყუროდ, მიიღო შორეული გადაცემა და გაიტანა გოლი.

თამაშის დამთავრების შემდეგ ვთხოვეთ სპორტის ოსტატ ი. დათუნაშვილს კომენტარი გაეკეთებინა გავლილი ბრძოლისთვის:

ზოგიერთი გულშემატკივარი, შეიძლება, უკმაყოფილო დარჩა განვლილი თამაშის სანახაობრივი მხარით, ვერ იხილა უშეღავათო, მწვავე ბრძოლა, ვერ იხილა თბილისელთა თავბრუდამხვევი იერიშები, მაგრამ, რასაკვირველია, არ იქნებოდა სწორი, დინამოელებს იგივე ტაქტიკით ეთამაშათ, როგორც ლონდონში. ჩემი აზრით, მათ სწორად დაგეგმეს მატჩი, მიმართეს ე.წ. სატურნირო სტრატეგიას, რომელიც გულისხმობს ორი მატჩის საბოლოო შედეგს, და აქედან გამომდინარე, პოზიციური ბრძოლის ტაქტიკა აირჩიეს. ორ მატჩში საერთო ანგარიში 4:2 ჩვენს სასარგებლოდ სავსებით დამაკმაყოფილებელი და საკმარისია, აზრი არა აქვს ტყუილად შეალიო მეტოქეს ძალები, როცა წინ კიდევ უფორ ძნელი ბრძოლები გელის.

ბ. ქორქია.

"ლელო", 19 მარტი, 1981 წ.